„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობისათვის“

პროექტის განმახორციელებელი:
კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

დონორი:
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრი

მიზანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, DPO-ებისა (შშმ პირთა ორგანიზაციების) და ახალგაზრდების ინფორმირება და გააქტიურება საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი ჩართულობისათვის მარტვილსა და საგარეჯოში.

ამოცანები

- *საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უფლებებზე;*

- *საარჩევნო უბნებზე მარტვილსა და საგარეჯოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლად მონაწილეობის მხარდაჭერა;*

ამოცანა 1

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე და შშმ მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უფლებებზე

აქტივობები:

1. საინფორმაციო-საგანამანათლებლო სემინარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან (DPO) საქართველოს რეგიონებში, კერძოდ მარტვილსა და საგარეჯოში.

2. შეხვედრა ახალგაზრდებთან მათ როლზე თანაბარი არჩევნების უზრუნველყოფისთვის;

3. საინფორმაციო ვიდეო რგოლის დამზადება და გაშვება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

ამოცანა 2

საარჩევნო უბნებზე მარტვილსა და საგარეჯოში შშ მქონე პირთა დამოუკიდებლად მონაწილეობის მხარდაჭერა;

აქტივობა:

მობილური ჯგუფების შექმნა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩველთა მომსახურება არჩევნების დღეს შემდეგ ქალაქებში: საგარეჯო და მარტვილი;

შედეგები

– *სამოქალაქო უფლებებზე, მათ შორის, საარჩევნო უფლებებსა და ამომრჩევლის როლზე ცნობიერება აუმაღლდა 101 ადამიანს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენელებს;*

– *შეხვედრებს დაესწრო 51 ახალგაზრდა და 50 შშმ პირი მარტვილსა და საგარეჯოში;*

– *მნიშვნელოვანი იყო მობილური ჯგუფის შექმნა ორივე რეგიონში, რომლის სერვისით ისარგებლა მარტვილსა და საგარეჯოში მცხოვრებმა 85 შშმ პირმა და მოხუცებულმა.*